პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ უმაღლესი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 ოქტომბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 194 (9605) ◆ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარი კასპაროვ — ანატოლი კარპოვის მატჩი პადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

პირველი პარტია — 12 ოქტომბერს

დღეს ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიხსნება ახალი, რიგით მეოთხე მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად თანამედროვეობის ორ საუკეთესო დიდოსტატ გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. მატჩი დაიწყება 12 ოქტომბერს. პარტიები გაიმართება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრება მოხდება სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით. კვირა — დასვენების დღეა.

მატჩს მოიგებს ის, ვინც მოაგროვებს 12,5 ან 13 ქულას, ან მოიპოვებს გამარჯვებას 6 პარტიაში. 12:12 ანგარიშის შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონის სახელს გარი კასპაროვი შეინარჩუნებს.

გაზეთ „თბილისის“ პრიზზე

...და სხვა მრავალი

საღამოობით დღე, როდესაც ხალხი ისვენებს და არც ქალაქის ქუჩებია ტრანსპორტით გადატვირთული, ზედგამოჭრილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების მოსაწყობად. კონსტიტუციის დღეს თბილისში ტრადიციად იქცა მძლეოსნური ამანათრბენის ჩატარება გაზეთ „თბილისის“ პრიზზე. თუმცა, შესაძლებელია მომავალში სხვა მასობრივი ასპარეზობის მოწმენიც გავხდეთ: ქალაქის სპორტკომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, კონსტიტუციის დღეს ხალხი ამ შეჯიბრების პასიურ მეთვალყურედ არ დატოვოს და ისინიც ჩაებას სხვადასხვა შეჯიბრებებში.

ამანათრბენს გაზეთ „თბილისის“ პრიზზე უკვე გაუჩნდა თავისი ფავორიტები და აუტსაიდერები. შეჯიბრების ტრასა საკმაოდ გრძელია, 21 მონაკვეთისაგან შედგება და ამიტომ ლიდერთა ძალა ბოლოს მაინც იჩენს ხოლმე თავს. თუმცა ზოგჯერ უფრო სუსტ გუნდებში, ჩვეულების გამო თუ თავიანთი მორბენლების გასამხნევებლად, ძლიერი სპორტსმენები საწყის ეტაპებზე გამოჰყავთ და დისტანციის შუაწელამდე ერთბაშად რამდენიმე გუნდი „იჩემებს“ ლიდერობას.

აი, ახლაც გაზეთ „თბილისის“ პრიზისთვის მებრძოლთა შორის ყველაზე ძლიერი გუნდი — ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები ერთხანს მეორე იყო, მაგრამ მალე გამოაჩინა თავისი ძალა და მე-5 ეტაპზე მორბენლებს სათავეში ჩაუდგა. მომდევნო ეტაპებზე დაწინაურებული წარმატებით ცდილობდა მოპოვებული უპირატესობის გაზრდას და ლენინის მოედანზე ფინიშის ხაზი უახლოეს მდევარზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდზე 15 წამით ადრე გადაკვეთა. გამარჯვებულის დრო, რომელიც მან 6300-მეტრიან დისტანციაზე აჩვენა, 17 წუთი და 42 წამია.

იხ. მე.2 გვ.

რას ფიქრობენ შესპერტზი?

ოლეგ რომანიშინი (საბჭოთა კავშირი): პროფესიონალი მოჭადრაკე იშვიათად არის ვინმეს გულშემატკივარი. მე კასპაროვ-კარპოვის მატჩი ბრძოლის თვალსაზრისით მაინტერესებს — ვინ როგორ და რანაირად მოიპოვებს უპირატესობას. ვინ გაიმარჯვებს? არ ვიცი. განსხვავება ძალის თვალსაზრისით ახლა კასპაროვსა და კარპოვს შორის შემცირდა. ყველაფერი სპორტულ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზეა დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ წარიმართება პირველი პარტიები.

ნაიჯელ დევისი (ინგლისი): ორივეს გულშემატკივარი ვარ. თუ მაინცდამაინც ანგარიში გაინტერესებთ, კასპაროვი გაიმარჯვებს ორი ქულის უპირატესობით: 12,5:10,5.

ევგენი ვასიუკოვი (სსრ კავშირი): მე, უპირველეს ყოვლისა, ჭადრაკის გულშემატკივარი ვარ და არა რომელიმე დიდოსტატის ქომაგი. ერთი სიტყვით, ჭადრაკი მიყვარს, პროგნოზის გაკეთებას კი ვერ ვბედავ. კასპაროვი და კარპოვი დღეისთვის უდავოდ უძლიერესი მოჭადრაკეები არიან, მკვეთრად აღემატებიან დანარჩენებს, უმაღლესი კლასი აქვთ. ამიტომ მატჩის შედეგი ბევრად იქნება დამოკიდებული მეტოქეთა ამჟამინდელ მზადყოფნაზე, მომზადების დონეზე, საერთო განწყობილებაზე. ორივე დაიღალა მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლით. ეს მეტად დიდი ფიზიკური და ემოციური დატვირთვა გაგვლავთ. მათი პარტიები, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა, მაგრამ ისინი ძალიან დიდი შემოქმედებითი ენერგიის დახარჯვით იქმნება. ძალიან სასიფათოა, რომ ასეთი მატჩები ხშირად ტარდება.

ხელოვნებაში სტუმრად მყოფმა არგენტინელმა დიდოსტატმა **მიგელ ნაიდორფმა** ჩაატარა მოკლე პრესკონფერენცია.

ცნობილია, რომ იგი იმ იშვიათ დიდოსტატთა რიცხვშია, ვისთანაც ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ჭადრაკში ბობი ფიშერს.

მიგელ ნაიდორფმა აღნიშნა, რომ სამი თვის წინ ინახულა ბობი ფიშერი, რომელიც, მართალია, საჭადრაკო ტურნირებში აღარ თამაშობს, მაგრამ „გარე სამყაროსთან“ კავშირი არ გაუწყვეტია.

ნაიდორფის შეკითხვაზე, ვინ გაიმარჯვებს კასპაროვ-კარპოვის მატჩში, ფიშერმა ასე უპასუხნია: დღესდღეობით კარპოვი უფრო ძლიერია, ვიდრე კასპაროვი, მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა კასპაროვის მხარეზეა და ალბათ მატჩსაც ის მოიგებს.

ᲘᲞᲝᲓᲠᲝᲛᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲣᲘᲐ

დიახ, 17-18 და 24-25 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე დიდი საცხენოსნო ზეიმი გაიმართება. „დელისის“ სარბიელი ამ დღეებში უმასპინძლებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მე-20 საიუბილეო საკავშირო შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცხენსაშენები. ასპარეზობის პროგრამაშია ისეთი საინტერესო სახეობები, როგორიცაა დაბრკოლებიანი და

სადა დოღი 1.200 და 4.800 მეტრზე, ჩორთმავალ ცხენთა რბოლა (ეტლითა და უნაგირიანი ცხენებით), აგრეთვე რბოლა რუსული „ტროიკებით“ და „ტაჩანკებით“, სტიპლჩეისი, კონკური და ასპარეზობები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

ამ საინტერესო მოვლენის წინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა იპოდრომის დირექტორს, სპორტის ოსტატ მიხეილ ტატიშვილს.

— სულ 350 ცხენსა და 450 მხედარს ველით, — თქვა დირექტორმა. — სტუმართა შორის ჟურნალისტებიც იქნებიან.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეჯიბრება თბილისში 1964 და 1971 წლებშიც გაიმართა.

იხ. მე.2 გვ.



საქართველოს ღია ჩემპიონატი ცხენოსნობაში

დღესასწაული დაამშვენა

სახალხო დღესასწაული „ლიხნობა“, რომელსაც გუდაუთელები ტრადიციულად ზეიმობენ, წელს ცხენოსნობაში საქართველოს ღია ჩემპიონატს დაემთხვა. მართალია, ჩემპიონატი გაგრაში, ბზიფის იპოდრომზე ჩატარდა, ჩვენი რესპუბლიკის, მოსკოვის, ლიტვისა და სომხეთის საუკეთესო მხედრების ოსტატობა მაინც იხილეს ზეიმის მონაწილეებმა. შეჯიბრების ორგანიზატორების გადაწყვეტილებით „საქართველოს თასის“ გათამაშება დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც ჩემპიონატის პროგრამით იყო გათვალისწინებული, ლიხნის იპოდრომზე გადაიტანეს. თასის მფლობელს გამოსავლენად ასპარეზობა ორ წრედ ჩატარდა. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა, გუდაუთელმა ხარლამ სიმონიამ პირველ გიტში 4 საჯარიმო ქულა მიიღო, პირველობის მეორე ძირითადმა პრეტენდენტმა, ზუგდიდელმა ოთარ ჯაფარიძემ კი მარშრუტი უშეცდომოდ განვლო, მეორე გიტში პირიქით მოხდა და ორივე სპორტსმენის შანსები გათანაბრდა, საბოლოოდ კი გამარჯვება ჯაფარიძეს დარჩა, რადგან მეორე გიტში სიმონიამ ზედმეტი სიდინჯე გამოიჩინა — 3 წამით გადაამეტა საკონტროლო დროს. მესამე ადგილი წილად ხვდა გუდაუთელ ოთარ გუდალიას.

ლიხნში გამართული შეჯიბრება ჩემპიონატის ბოლო აკორდი იყო, მანამდე კი ბზიფში ორჭიდელებმა (ახალგაზრდა ცხენებისთვის) და ცხენის გაწვრთნის ოსტატებმა ასპარეზეს. ორჭიდში საუკეთესო მომზადება გამოავლინეს ოჩამჩირელმა მხედრებმა. პირველი იყო ავაჭ სამველიანი, მეორე — ოთარ ნარმანია, მესამე — გულრიფშელი ლეონ ეკსუზიანი. ცხენის გაწვრთნაში ყველაზე უკეთესი შედეგი გამოაცდილ ოსტატ, თბილისელ იუნონა კოჟინას ჰქონდა, ოჩამჩირელები გია ქვაჩახია და გოჩა ლაკაშია შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ოჩამჩირელმა მხედრებმა — 338 ქულა, მეორე ადგილზე გუდაუთის — 309,5, მესამეზე — თბილისის წარმომადგენლები არიან. აღსანიშნავია, რომ სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზამ, რომელიც ადრე იშვიათად თუ დაუთმობდა ვინმეს პირველობას, წელს სარბიელზე მხოლოდ რამდენიმე მხედარი გამოიყვანა (ამჟამად საბაზო გუნდად ცხენოსნობაში საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლა იქცა). თბილისის საცხენოსნო ბაზის პოზიციის შესუსტების მიზეზი ის გახლავთ, რომ აღარ ჰყავთ უფროსი ასაკის საიმედო მერნები, მხედრები ახლა ძირითადად ახალგაზრდა ცხენებს ამზადებენ. ცხადია, ვაკუუმი არ წარმოიქმნებოდა, ცხენთა შემადგენლობის განახლებაზე დროზე რომ ეზრუნათ.

„ლელოს“ სპეც. კორ.

გაგრა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ

ხერსონში დამთავრებულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ძიუდოისტ ქალთა პირველობაში ჩვენმა რესპუბლიკამ ცხრა მოასპარეზე წარმოადგინა. მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა ტურნირში გამარჯვებულებზე. საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით) რუსუდან კუპატაძე (თბილისი), საულე ჯაკინა (ალმა-ათა), ოლგა შილოკოვსკაია (აშხაბადი), ანა პაეერაიტე (კაუნასი), ელენე ტიხომიროვა (მოგილიოვი), სვეტლანა ლისიანსკაია (კიევი), გალინა მიხალი (მინსკი) და ელენე კრუტინა (გორკი).

როგორც ამ სიიდან ჩანს საქართველოს ძიუდოისტ ქალებს ერთი პირველი ადგილი მოუპოვებიათ. რუსუდან კუპატაძემ (48 კგ) მართლაც ჩინებულად იასპარეზა, ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე დროზე ადრე გამარჯვებით დაამთავრა: მარინა ჩისტიაკოვასა (ტერსონი) და არზუ მუსტაფაევას (აშხაბადი) მტკივნეული ილეთებით მოუგო, იუდიტა მიშუსკაიტეს (კაუნასი) და არზუ ატაევას (ბაქო) — იპონით (წმინდად). საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსუდან კუპატაძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამ წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა რენა შევარდოვამაც, თუმცა საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა.

სამაგიეროდ ორმა სხვა თბილისელმა ძიუდოისტმა ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურეს. ესენია ნათელა აბუსელიძე (61 კგ) და ლეილა ნებიერიძე (72 კგ). ამ მოჭიდავეებმა მხოლოდ პირველი შეხვედრები წააგეს და ამით ჩემპიონობისთვის ბრძოლის უფლება დაკარგეს, თორემ ყველა მომდევნო შეხვედრები დიდი უპირატესობით მოიგეს. ქებით უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ორი თბილისელი ნონა სუარიშვილი (52 კგ) და მაია ქოჩაშვილი, რომლებმაც V ადგილები დაიკავეს.



ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

გუშინ რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლებს მოსაპოვებლად დაწეხებული სუპერფინალის პირველ მატჩში ქუთაისის „შენებელმა“ უმასპინძლა მონინოს სსა-ს. შეხვედრა დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით — 10:0.

ᲘᲞᲝᲓᲠᲝᲛᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

⊙ როგორ მოემზადა ამ დიდი ასპარეზობის ჩასატარებლად ჩვენი იპოდრომი?

— საქმე ის გახლავთ, რომ მოცილეები გვყავდა — ტაშკენტისა და ალმა-ათის იპოდრომები გჯიწევდა კონკურენციას. როგორც კი საკავშირო აგრომრეწვის კომიტეტის თანხმობა მოვიღეთ, მაშინვე, ესე იგი შარშან, ნოემბრიდან შევუდექით მზადებას. კერძოდ, იპოდრომის საჭენებელ წრეზე ტორფი და ქვიშა დაიგო. გრუნტის გასამაგრებლად. იმის გამო, რომ გაზონი ჭაობდებოდა და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, მთელს მოედანზე გაკეთდა დრენაჟი, მალე დამთავრდება ბილიკის შეკეთება ჩორთმავალი ცხენების სასპარეზოდ. გაყვანილია წრის განათებისა და სარწყავი სისტემები. გარემონტდა თავლები და ტრიბუნები, განახლდება საკონკურო მინდორი — იქ ახალი ტრიბუნები დაიდგმება, კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება. ზოგიერთის დროულად დამთავრებას ცხენთგამოცდაში გამართულმა შეჯიბრებამ შეუშალა ხელი.

⊙ რა იწვევს შეჯიბრებისადმი ასეთ ინტერესს?

— პირველ ყოვლისა ის, რომ ეს საიუბილეო ასპარეზობაა და იგი თბილისელებს ემთხვევა. ამიტომ მას უფრო ფართო მასშტაბი ექნება. პროგრამას დაემატა შეჯიბრებები კლასიკურ სახეობაში. კერძოდ, სტიპლჩეისი, რომელიც თბილისელმა მაყურებელმა შარშან ნახა ჩვენს იპოდრომზე და ძალიან მოეწონა, ჩატარდება აგრეთვე დაბრკოლებიანი დოღი.

⊙ ასეთი დიდი შეჯიბრება მარტო იპოდრომის ძალებით ვერ ჩატარდება.

— დიახ, შეჯიბრების მაღალ დონეზე მოსაწყობად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სახაგრომრეწვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლუდვიგ ღურწკაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ოპერატიულად წყვეტს პრობლემებს. კერძოდ, კომიტეტმა უკვე მოაგვარა მონაწილეთა მიღება-დაბინავების, კვების, ცხენთა ჩამოყვანის საქმე, დაარჩარა სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები, შეჯიბრების რეკლამაც მან ითავა და სხვა საკითხების გადაწყვეტაშიც დაგვეხმარა.

⊙ ასპარეზობაზე ვინ დაიცავს მასპინძელთა ღირსებას?

— ორგკომიტეტმა განიხილა საქართველოს ნაკრები გუნდის შეჯიბრებაში მონაწილეობის საკითხი. საქაგრომრეწვისა და სპორტსახკომის ცხენოსნების გარდა, ცხაკაიასა და გაგრის ნაკრებები შევარჩიეთ (ეროვნულ თამაშებში მონაწილეობისთვის).

სადა და დაბრკოლებებიან დოღში გამოვლენ ყულარის ცხენსაშენისა და მახარაძის აგრომრეწვის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის ნაკრები, რომლის ღირსებას დაიცავს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის, სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზის, ცხაკაიელი, გაგრელი, ოჩამჩირელი, გუდაუთელი სპორტსმენები, მონაწილეობას მიიღებს კლასიკურ სახეობებში — კონკურსა და სტიპლჩეისში. დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო კლასის სპორტის ოტატ, სსრ კავშირის ნაკრების

ᲜᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ — ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ: ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲠᲘᲭᲘᲐᲜᲘ, ᲘᲡᲐᲐᲙ ᲙᲘᲖᲘᲠᲘᲐ, ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲗᲐᲜᲐᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜ ᲜᲐᲬᲧᲔᲑᲘᲐ.

ᲤᲝᲢᲝ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ.

წეკრ, გუდაუთელ ხარლამ სიმონიას გამოსვლა. მაყურებელი სსრ კავშირის სხვა უძლიერეს მხედრებსაც იხილავს.

⊙ შეჯიბრება ცხენოსნობაში პრიზის გარეშე წარმოუდგენელია...

— რა თქმა უნდა. ტრადიციული საკავშირო პრიზების გარდა, მონაწილეებს დიდი ბრძოლა მოუწევთ საქართველოს სსრ პრიზის მოსაპოვებლად, რომელსაც 1.200 მეტრზე გამართულ დოღში გამარჯვებული მიიღებს. აქ ამიერკავკასიის ცხენოსნებთან ერთად სარბიელზე გამოვლენ ყირგიზეთისა და მოლდავეთის უძლიერესი მხედრები.

სტიპლჩეისში 3.200 მეტრზე გათამაშდება თბილისის იპოდრომის პრიზი. ამავე სახეობაში 4.800 მეტრზე — ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის პრიზი, ჩორთმავალ ცხენებში — „თბილისობის“ პრიზი

⊙ ბარემ ისიც გვითხარით, რა პერსპექტივები აქვს სპორტის ამ ულამაზეს სახეობას ჩვენში?

— საქართველოს აგრომრეწვისა და სპორტსახკომის კოლეგიების ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა მაკოორდინირებელი ჯგუფი, რომელსაც ჩვენში ეროვნული და კლასიკური სახეობების განვითარების ხელმძღვანელობა დაევალა.

ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შევადგენთ რესპუბლიკის ნაკრებს, რომელიც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში გამოვა. მუშაჯგუფი (15 სპეციალისტი შედის) შეისწავლის რესპუბლიკაში ცხენოსნობის ეროვნული სახეობების განვითარებისა და საცხენოსნო კლუბების საკითხს.

აქვე უნდა ითქვას ცხენთგამოცდის სეზონზე, რომელიც 20 სექტემბერს დაიხურა. რა მოგვიტანა მან? ის, რომ იმატა მაყურებელმა ტრიბუნებზე. შემოსავალმა 20 ათასი მანეთით გადააჭარბა შარშანდელს. დიდი მოწონება ხვდა წილად ჩვენს იპოდრომზე ახალთქური ჯიშის ცხენთგამოცდას. აქვე უნდა ითქვას, რომ საიმედო გამოდგა გარემონტებული საჭენებელი წრე. მთელი სეზონის განმავლობაში არც ერთი ცხენი არ დაშავებულა. გვინდა, რომ რომელიმე დღე, მაგალითად, ხუთშაბათი საცხენოსნო დღე იყოს. ამ დღეს, საღამოხანს ჩავატარებთ სტიპლჩეისსა და დაბრკოლებებიან დოღს. განათების ახალი სისტემა ამის საშუალებას მოგვცემს.

მერმისისთვის გადაწყვეტილი გვაქვს დოღის შუალედები თბილისსა და რესპუბლიკის წამყვანი კონკურისტების გამოსვლებით შევავსოთ..

⊙ რას გვეტყვით იპოდრომზე შექმნილ გამაჯანსაღებელ ჯგუფებზე?

— საცხენოსნო ტურიზმის ჯგუფები გააგრძელებენ ვარჯიშს. დახურულ მანეჟზე იმუშავებს ფასიანი ჯგუფები, რომელიც ქალაქის მოსახლეობას მოემსახურება — მსურველები დაწყებით საცხენოსნო ილეთებს შეისწავლიან. ქალაქის კოლორიტს გაამდიდრებს ჩვენი იპოდრომის ეტლები, რომელიც ცირკის შემოგარენში უკვე დადიან.

⊙ იპოდრომზე თუ შეიძლება ეტლით სეირნობა?

— ამჟამად არა, რადგან აქ 7 ორგანიზაციას უდევს ბინა და ავტომანქანების ინტენსიური მოძრაობა ამის საშუალებას არ იძლევა. მერე კი, როცა ეს საკითხიც მოგვარდება, კი, ბატონო, მობრძანდით!

ესაუბრა
ᲣᲨᲐᲜᲒ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა კოლეგიის მორიგი სხდომა. როგორც ცნობილია, გაიხად ჩატარდება ჭაბუკთა საკავშირო თამაშები, 1989 წელს ახალგაზრდული თამაშები, 1991 წელს კი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა გაიმართება. როგორ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ამ კომპლექსური ღონისძიებებისთვის. კოლეგიის სხდომაზე ამჯერად დღის წესრიგში იყო ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის მზადების საკითხი. მიღებული დადგენილება ითვალისწინებს ნაკრები გუნდების შესაბამისი მატერიალურ-სპორტული ბაზით უზრუნველყოფას, დამტკიცებულია ნაკრები გუნდების წევრთა და მწვრთნელთა შემადგენლობა. უფროს მწვრთნელად დაინიშნა თეიმურაზ კაკულია.

სახელმწიფო მიღებამ თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთისა და საქართველოს განათლების სამინისტროს ფრენბურთის სპეციალიზებულ სკოლებში გამოავლინა რიგი ნაკლოვანებები, რაც აფერხებს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობებში მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას. ხელბურთის სკოლაში ბოლო ორი წელი თვითდინებით მიდიოდა მუშაობა, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ ჯგუფების დაკომპლექტებას, დაბალია მწვრთნელთა კვალიფიკაცია, თბილისის განათლების სამმართველომ გაუთავებელი რევიზიებით დაძაბა კოლექტივში ურთიერთობა. მიღებულია ცნობად, რომ სკოლის ხელმძღვანელობა შეიცვალა.

ფრენბურთელთა სკოლაში მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის ხარვეზები სასწავლო-საწვრთნელ პროცესში. კოლეგიამ ადმინისტრაციული სასჯელი დაადო ზემოაღნიშნული სკოლების ხელმძღვანელებს.

კოლეგიის იმავე სხდომაზე იმსჯელეს მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში საქართველოს ხელბურთელ გოგონათა მონაწილეობის შესახებ. შედეგები შეფასდა უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად. გოგონათა ნაკრები გუნდის უფრ[illegible] სკოლეთა [illegible] ნაკრები გუნდთან მუშაობა.

• • •

ᲠᲝᲒᲝᲠ კომპლექტდება სპ[illegible]ტული პროფილის კლასები [illegible] სკოლები, რას იძლევა ეს ორი რ[illegible]ლი დიდი სპორტისთვის? კოლეგ[illegible] ამ საკითხზე მსჯელობისას [illegible]ვიდა იმ დასკვნამდე, რომ არ[illegible]ბითი ნაკლოვანებები, მეტწილად [illegible] მოიწვია ობიექტურმა მიზეზ[illegible] და ზოგადსაგანმანათლებლო ს[illegible]ლასთან სიახლის შერწყმის პრ[illegible]ლმა ნაბიჯებმა. აუთვისებელი რ[illegible]ბა ლიმიტები. სპორტსახკომი [illegible] საკითხს კვლავ დაუბრუნდება [illegible]თი წლის შემდეგ.

საუწყებათაშორისო ოლიმპიუ[illegible] მომზადების ცენტრები ჩვენს რ[illegible] სპუბლიკაში სპორტის 25 სახ[illegible]ბაში უწევს კოორდინაციას სპ[illegible]ტსმენთა დოსტატებას. ამ მხრ[illegible] მუშაობის გაუმჯობესების შესახ[illegible] მიღებული დადგენილება ითვალ[illegible] წინებს ცენტრების მუშაობის ეფ[illegible]ქტიანობის შემდგომ ამაღლებას.

• • •

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ აგრეთვე რესპუბ[illegible]კაში სამბოს განვითარების ო[illegible]ბაზე კოლეგიის მიერ მიმდინ[illegible] წლის თებერვალში მიღებული [illegible] დადგენილების შესრულების მიმ[illegible]ნარეობა.

მიღებულია დადგენილება რ[illegible] პუბლიკის სტადიონებზე გამართ[illegible] საფეხბურთო მატჩებზე დისციპ[illegible]ნის განმტკიცების, ობოლ ბავშ[illegible] შორის ფიზკულტურულ-გამაჯან[illegible]ღებელი მუშაობის გაუმჯობესებ[illegible] შესახებ.

კოლეგიის დღის წესრიგში ო[illegible] სხვა მნიშვნელოვანი საკითხები [illegible] მიღებულია შესაბამისი დადგე[illegible]ლებები.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

ᲫᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲝᲒᲐᲨᲘ

თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზი რეკონსტრუქციის შემდეგ საექსპლოატაციოდ საშვიდნოემბროდ უნდა გადასცენ.

როგორი ტემპით მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები?

საჭუმპალაო, 50-მეტრიანი აუზი, წყალში მხტომელებისთვის განკუთვნილი ორი მცირე ზომის აბაზანა და კოშკები მთლიანად მოპირკეთებულია. მზადაა საქვაბე, დამონტაჟებულია ფილტრები და გათბობის სისტემა. აუზის ტერიტორიაზე დაიდგა ლამპიონები.

დანარჩენი სამუშაოები ან არ დაწყებულა ან სანახევროდაა შესრულებული, ზოგიერთის დამთავრებას კი ბევრი აღარაფერი უკლია. ჯერ არ დაწყებულა აუზის ტერიტორიის ფილებით მოპირკეთება, მოასფალტება, მოუწესრიგებელია საშხაპეები. ტრიბუნების რკინის კონსტრუქციები დაიდგა, მაგრამ სკამები დაუმონტაჟებელია. არც მღებავებს და მლესავებს დაუმთავრებიათ საქმე. აუზისაკენ მიმავალი გვირაბი შიგნიდან სანახევროდ მოპირკეთებულია, გარედანაც სანახევროდაა დამთავრებული მისი მოზაიკური გაფორმება. ადმინისტრაციული კორპუსის რამდენიმე ოთახი ნაწილობრივ მზადაა. ზოგან იატაკია დახაგები, ზოგან კარ-ფანჯარაა შესაღები. აუზის ტერიტორიაც სანახევროდაა რკინის მეხერით შემოღობილი.

როგორც ირკვევა, მშენებლ[illegible] ტემპის დაჩქარებას ხელი შეუ[illegible]ლა გაუთვალისწინებელმა სი[illegible]ლეებმა. ამ სიძნელეებზე აღარ [illegible] ჩერდებით, რადგან ისინი მშენ[illegible]ლებს უკვე გადაულახიათ.

ერთი სიტყვით, აუზში კ[illegible] ბევრი რამაა გასაკეთებელი. [illegible] სათვის, რომ მშენებლებმა ღ[illegible]ზე დაამთავრონ კაპიტალური [illegible]მონტი, უფრო სწრაფი ტემ[illegible] მუშაობა მართებთ, მაგრამ, თ[illegible] გვარწმუნებენ, რომ ყველაფ[illegible] გაკეთებას მოახერხებენ და საშ[illegible] ნოემბროდ ყველაფერი დასრუ[illegible]ბულ სახეს მიიღებს, მაგრამ [illegible] ერთი რამ გვაფიქრებს. ფო[illegible]რებული მეთოდით კაპიტალ[illegible] რემონტის დაჩქარება უხარისხ[illegible]მდე ხომ არ მიგვიყვანს და ა[illegible] მალე ხომ არ გამოვა მწყობრიდ[illegible] ასეთი მაგალითების მოყვანა მ[illegible]ლად შეიძლება. გავიხსენოთ ო[illegible]ლისში, საირმის ქუჩაზე მდებ[illegible] აუზი, რომელსაც მრავალჯერ [illegible]უტარდა რემონტი, მაგრამ შეუ[illegible]რხებლად იმდენი თვეც არ უ[illegible]შავია, რამდენი წლისაც თავად [illegible]ბაზაა. თავად „ლოკომოტივის“ [illegible] საც მსგავსი ისტორია აქვს.

და მაინც, გვინდა გვჯეროდ[illegible] რომ მშენებლები ყველაფერს [illegible]რიხხიანად გაკეთებენ და საშ[illegible] ნოემბროდ თბილისელი სპორ[illegible] მოყვარულები კარგ საჩუქარს [illegible]ღებენ.

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

სულ მალე, 16-18 რქტომბერს, ულიანოვსკში გაიმართება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებას ტრადიციულად წინ უძღვის დინამოელ მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელსაც ასევე ულიანოვსკმა უმასპინძლა. სპორტსაზ[illegible] გადოების ჩემპიონი გახდა ქუთაის[illegible]ლი გიორგი კოღუაშვილი (90 კგ) ბათუმელმა ჯემალ ბაკურიძემ ([illegible] კგ) მეორე ადგილი დაიკავა, ქუთ[illegible] ისელმა ვასილ ონიანმა (62 კგ) [illegible] მესამე. სამივე მოჭიდავე ულიან[illegible]ვსკში დარჩა თავისი სპორტსაზ[illegible] გადოების ნაკრების შემადგენლ[illegible]ბაში. ქვეყნის თასის გათამაშება[illegible] მონაწილეობის მისაღებად.

...ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენების უკან უფრო თანაბარი ძალის კოლექტივები მორბოდნენ, ასე რომ, დანარჩენი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა მეტად დაძაბული იყო. თუმცა უნივერსიტეტელებს სათუოდ არ გაუხდიათ მეორე საპრიზო ადგილის ბედი, მაგრამ აი, მესამე ადგილზე მყოფ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მორბენლებს ფინიშზე ჰოზიციის დათმობა მოუწიათ, მათ სულ ორიოდე მეტრით გაუსწრეს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეებმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა ორი პირველი პრიზი დაიმსახურა. ერთი — მთავარი ჯილდო (გაზეთ „თბილისის“ პრიზი) — აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვებისათვის, მეორე — უმაღლეს სასწავლებლების გუნდების შეჯიბრებაში საუკეთესო .შედეგისათვის.

აბსოლუტურ პირველობაში მეორე და მესამე ადგილზე, როგორც ითქვა, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდები გავიდნენ. ცალკეულ ჯგუფებში ადგილები ასე გადანაწილდა:

I. უმაღლესი სასწავლებლები. 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი; 2. სახელმწიფო უნივერსიტეტი; 3. პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

II. ტექნიკუმები. 1. პოლიტექნიკური; 2. ფიზკულტურის; 3. მანქანათმშენებლობის.

III. რაიონები. 1. 26 კომისრის რ-ნი; 2. ლენინის რ-ნი; 3. საქარხნო რ-ნი.

IV. სპორტკლუბები. 1. „სინათლე“; 2. „ფიქარი“; 3. „უშბა“ (შეჯიბრებაში სულ 34 გუნდი მონაწილეობდა).

ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე ასეთი მასობრივი ამანათრობენის მოწყობა (სტარტზე სულ 34 გუნდი გამოვიდა) ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ ქალაქის ავტოინსპექციამ, სპორტსახკომის მუშაკებმა, მსაჯებმა (მთავარი მსაჯი ნუხა გაგოშიძე) წარმატებით გაართვეს თავი შეჯიბრების ორგანიზაციას. თავიანთი სიტყვა თქვეს ენთუზიასტებმაც, პირველ რიგში — მილიციის მაიორმა, სპორტის ოსტატმა თემურ ლაკამ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲤᲝᲢᲝ.

ევროპის ჩემპიონატი

ფინალის საგზურის მოსაპოვებლად

დღეს ბერლინში გაიმართება საინტერესო, დიდმნიშვნელოვანი მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. არსებითად შეიძლება სწორედ აქ გაირკვას ის გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებში.

ვიდრე ვიტყოდეთ ჩვენს დღევანდელ მეტოქეზე, საჭიროდ მიგვაჩნია გადავხედოთ მესამე ქვეჯგუფში ამჟამად შექმნილ მდგომარეობას, სადაც დღევანდელი მეტოქეები გამოდიან.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	6	4	2	0	11-2	10
გდრ	5	2	2	1	8-2	6
ისლანდია	7	2	2	3	4-12	6
საფრანგეთი	6	1	3	2	3-5	5
ნორვეგია	6	1	1	4	3-8	3

როგორც ხედავთ, ფინალში გასვლის შანსი აქვთ მხოლოდ სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდებს, ამ ორიდან დებულების თანახმად ფინალში მხოლოდ ერთი მოხვდება. ამიტომ გადავხედოთ ქვეჯგუფში დარჩენილ შეხვედრათა კალენდარს:

10.X.87 გდრ — სსრ კავშირი
14.X87 საფრანგეთი — ნორვეგია
28.X.87 სსრ კავშირი—ისლანდია
28.X.87 გდრ — ნორვეგია
18.XI.87 საფრანგეთი — გდრ

საბჭოთა ფეხბურთელებს შეუძლიათ სულ 14 ქულა დააგროვონ, 12 ქულის დაგროვება შეუძლიათ გდრ-ის ფეხბურთელებს, მაგრამ მათ უნდა მოიგონ ყველა დარჩენილი შეხვედრა, გაიმარჯვონ დღესაც და მოუგონ ნორვეგიისა და საფრანგეთის გუნდებსაც. ამიტომაა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა დღეს ბერლინის სტადიონზე ქულაც რომ აიღონ, მათ შედარებით გულდამშვიდებით შეუძლიათ გამარჯვებისთვის ითამაშონ საკუთარ მინდორზე ისლანდიის გუნდთან, 13 ქულა ჩვენს გუნდს საკვალიფიკაციო ჯგუფში გამარჯვების სრულ გარანტიას უქმნის.

გდრ-ის ნაკრები კარგა ხანია ემზადება ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩისთვის და ბერლინის ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე 60-ათასიანი ტრიბუნების მხარდაჭერით უნდა იბრძოლოს გამარჯვებისთვის, ვინაიდან არავის აეჭვებს, რომ 28 ოქტომბერს ისლანდიელებთან მატჩში (იგი სიმფეროპოლში შედგება) საბჭოთა ფეხბურთელები აუცილებლად გაიმარჯვებენ.

გდრ-ის გუნდმა ორი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა ნაკრებების დონეზე. აგვისტოში იგი სტუმრად დამარცხდა პოლონელებთან (0:2), სადაც რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოსცადა, 24 სექტემბერს კი ქ. გერაში ანგარიშით 2:0 მოუგო ტუნისის ნაკრებს.

მასპინძელთა გუნდის შემადგენლობა სტაბილურია. კარს იცავს მეკარე მიულერი, რომელიც საერთაშორისო კლასის ფეხბურთელად ითვლება. მცველთა ფუნქციებს შესრულებენ როდე, ციოთჩე, კრეერი, დეშნერი, აგრეთვე, შტამანი. საერთოდ, დაცვა გდრ-ის ნაკრების ყველაზე საიმედო რგოლია.

საკმაოდ სტაბილურია შუა ხაზიც, აქ ძირითადი მოთამაშეები არიან ერნსტი, მეტად პერსპექტიული დოლი, გამოცდილი ფეხბურთელები არიან შტიუბნერი, რაბი და ლიბერსი.

თავდასხმის რგოლის კანდიდატები არიან ტომი, მინგე, კირსტენი, და სხვანი.

ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბერნდ შტანგემ განაცხადა, რომ მისი გუნდი მზადაა საბრძოლველად და გადაწყვეტილი აქვს მაქსიმალური ძალით შეებას მეტოქეს, ვინაიდან ეს მატჩი მისი ბოლო შანსია ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად. უფროსმა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბარში ამის შესახებ ხაზგასმით ილაპარაკა, გარდა კოლექტივის საყოველთაო მობილიზებისა, მის ფეხბურთელებს სურვილი აქვთ ლამაზი, თანამედროვე ფეხბურთიც აჩვენონ.

სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდები დღემდე 14-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს 6 მატჩი, მეტოქემ — 3.

დღევანდელი გადამწყვეტი მატჩისთვის საბჭოთა ნაკრები უფროსი მწვრთნელის ვ. ლობანოვსკის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით ემზადებოდა: მეკარეები — რ. დასაევი („სპარტაკი“) და ა. ყიდკოვი („ნეფთჩი“); მცველები — ვ. ლოსევი („დინამო“, მოსკოვი), ე. იაროვენკო („ქაირათი“), ვ. ხიდიატულინი და ა. ბუბნოვი („სპარტაკი“), ო. კუზნეცოვი, ს. ბალტაჩა და ა. დემიანენკო („დინამო“, კიევი), შუა ხაზისა და შეტევის მოთამაშეები — ი. იარემჩუკი, ვ. რაცი, ა. მიხაილიჩენკო, ვ. ბესონოვი და ა. ზავაროვი („დინამო“ კიევი), გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი და ვ. ტიშჩენკო („დნეპრი“), ს. ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი) ი. დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი). ტრავმების გამო მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მოსკოვის სპარტაკელი ს. როდიონოვი და კიევის დინამოელი ი. ბელანოვი. სათუოა ა. ზავაროვის თამაში, თუმცა იგი იყო საწვრთნელ შეკრებაზე.

გდრ-ის და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების დღევანდელ მატჩს ცენტრალური ტელევიზია I პროგრამით ბერლინიდან გადასცემს 23 საათზე თბილისის დროით.

„ვიქტორიას“ ერეკვეტანაზე

ევროპულ თასების გათამაშებაში საბჭოთა ფეხბურთელები მხოლოდ ოთხჯერ შეხვდნენ რუმინეთის წარმომადგენლებს. თავის დროზე მინსკის დინამოელები „ორრაუნდიან“ მატჩში დამარცხდნენ ბუქარესტელ თანაკლუბელებთან. იგივე ბედი ეწია ლვოვის „კარპატსაც“ ბუქარესტის „სტიაუასთან“ შეხვედრაში, რაც შეეხება რუმინელთა მესამე კლუბს — „უნივერსიტატიას“, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ორჯერ დამარცხდა ჯერ კიეველ, შემდეგ კი მოსკოველ დინამოელებთან.

და აი, უეფა-ს თასის გათამაშებაში წილისყრამ თბილისის „დინამო“ კიდევ ერთ რუმინულ გუნდს ბუქარესტის „ვიქტორიას“ შეახვედრა.

„ამბობენ, რომ თბილისელები წლეულს ფორმაში არ არიანო, მაგრამ სოფიის „ლოკომოტივთან“ გამართული მეორე მატჩი ქართველი ფეხბურთელების დიდ პოტენციალზე მეტყველებს. ჩვენ ძალზე რთული ამოცანა გვაქვს გადასაჭრელი“. — თქვა ბუქარესტის „ვიქტორიას“ მწვრთნელმა დუმიტრუ ნიკოლაე ნიკუშორმა უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალური წყვილების წილისყრის შემდეგ.

„ვიქტორია“ სულ 17 წელია რაც არსებობს, რუმინეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში კი პირველად 1985 წელს გამოჩნდა. სადებიუტო სეზონში გუნდმა მეთორმეტე ადგილი დაიკავა და სპეციალისტთა აზრით ეს არც თუ ურიგო შედეგი იყო ახალბედასათვის. შემდგომ სეზონში გუნდმა 34 მატჩში 15 გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი დაიკავა.

უეფა-ს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ბუქარესტის „ვიქტორიამ“ სტუმრადაც (1:0) და შინაც (3:0) დაამარცხა კიპროსის გუნდი ეპა. დებიუტი წარმატებული გამოდგა. მეტოქის ჯარში 2 ბურთი გაიტანა ნუცემ, მესამე კი გუნდის ყველაზე აგრესიულმა თავდამსხმელმა, 32 წლის აუგუსტინმ, რომელიც უწინ სხვა კლუბების შემადგენლობაში გამოდიოდა.

სპეციალისტთა აზრით „ვიქტორიაში“ ყველაზე ძლიერი თავდასხმის ხაზია. აქ თამაშობენ გამოცდილი ფეხბურთელები იორდაკე (33 წლისა), ცელნარი (30 წლის) და უფრო ახალგაზრდები ჰენზელი და ვაიმკოვიჩი. ნახევარდაცვაში გამოდიან დებიუტანტები — კოჟოტარუ, ენე და სხვები, რომლებსაც ჯერ აკლიათ ურთიერთგაგება, სათანადო დონეზე არ დგას კოლექტიური მოქმედება, თუმცა მათ ხშირად ენაცვლებიან უფრო გამოცდილი სოლომონი და ბალაური. „ვიქტორიის“ კარს უკანასკნელ მატჩებში იცავდა 26 წლის როტერესკუ, მაგრამ გუნდში არის მეორე მეკარეც — ნიცუ, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს.

წლევანდელი სეზონი „ვიქტორიამ“ კარგად დაიწყო: 7 ტურის შემდეგ 9 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს ბუქარესტის „სტიაუასა“ და „დინამოს“ შემდეგ.

საქართველოს პირველობა

7 ოქტომბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

I ჯგუფი

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „სულორი“ (ვანი) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ჩიქობავა („ეგრისი“), პაიკიძე („სულორი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ლატარია, ქომეთიანი, ჩიმაკაძე („კოლხეთი“), ა. ჯიქია („დინამო“).

„დინამო“ (გაგრა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლი: რაგანიანი („დინამო“).

მოწინააღმდეგის განზრახ ხელით დაჭერისთვის გაფრთხილეს გაგრელი ფეხბურთელები კ. სიჭინავა და ი. სემიონოვი.

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი). გოლები: ლატარია, ქომეთიანი, ჩიმაკაძე („კოლხეთი“), ა. ჯიქია („დინამო“).

„დინამო“ (გაგრა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლი: რაგანიანი („დინამო“).

მოწინააღმდეგის განზრახ ხელით დაჭერისთვის გაფრთხილეს გაგრელი ფეხბურთელები კ. სიჭინავა და ი. სემიონოვი.

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი). გოლები: ლატარია, ქომეთიანი, ჩიმაკაძე („კოლხეთი“), ა. ჯიქია („დინამო“).

„დინამო“ (გაგრა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლი: რაგანიანი („დინამო“).

მოწინააღმდეგის განზრახ ხელით დაჭერისთვის გაფრთხილეს გაგრელი ფეხბურთელები კ. სიჭინავა და ი. სემიონოვი.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კახეთი“ (თელავი) 3:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: თ. გუჩუა, შელია-2 („ამირანი“), ბარნაბიშვილი („კახეთი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი). გოლები: ნოზაძე, ახალაკაი-2 („ქართლი“), წითელაშვილი („მეტალურგი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: ბერიაშვილი (ფიზკ. ინსტიტუტი), ხუციურაული („არმაზი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ფეხბურთელები ვ. ფხალაძე და ზ. სოლოლაშვილი.

„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლი: ქოქიაშვილი („დურუჯი“).

„ივერია“ (ხაშური) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი). გოლი: ოსაძე („ივერია“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სქურა“ (წალენჯიხა) 4:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი). გოლები: მარგოევი, ვ. ხუბეჯიშვილი, გ. ხუბეჯიშვილი, ჩოჩიევი („სპარტაკი“), ჩიკინოვი („სქური“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ვ. ჩოჩიევი.

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:0. მსაჯი გ. ცქიტიშვილი (ქუთაისი). გოლი: ჯ. ახალაია („სამეგრელო“).

ახალგაზრდული (საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:5. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: კერესელიძე-3, ცნობილაძე, ონიანი („შადრევანი“).

II ჯგუფი

I ქვეჯგუფი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე“-„ინტერნატი“ (თბილისი) 5:0, „მიონი“-35 (თბილისი) — „ფოსტამატი“ (თბილისი) 1:2, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)— „სამგორი“ (გარდაბანი) 0:3, „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:1, „შირაქი“ (წითელი წყაროო) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 5:3, „მეტალისტი“ (რუსთავი) — სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) 1:0, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:5, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:0, უნივერსიტეტი (თბილისი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 5:0, „სინათლე“-„ინტერნატი“ (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 4:1

II ქვეჯგუფი. „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყაროო) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:3, „მეფეკეჯე“ (ახალდაბა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „განთიადი“ (დმანისი)— „მეფრინველე“ (კასპი) 1:2, „თორი“ (ბორჯომი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „შარაბდა“ (კოდა) 1:1, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:1, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „ავტომობილისტი“ (გორი) 1:2. ახალქალაქის „აბულს“ გამარჯვება ჩაეთვალა ჯავის „ბაგიათთან“.

III ქვეჯგუფი. „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ივერია“ (ქარელი) 2:0, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე)— „ჩიხურა“ (სახჩერე) 0:1, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „ორპირი“ (ტყიბულის რ-ნი) 1:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „შამისონი“ (ონი) 3:2, „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) — „ზანა“ (აბაშა) 3:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „ხვამლი“ (ცაგერი) 6:1, „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი)— ხდკ (სამტრედია) 4:3, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 7:0.

IV ქვეჯგუფი. „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „განთიადი“ (ცხაკაია) 1:0, „დინამო“-2 (ბათუმი) — „მზიური“ (გალი) 1:5, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „განთიადი“ (გაგრა) 2:0, „ნარინჯი“ (გონიო) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 2:5, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 2:2, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 1:3, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 4:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ალეონი“ (გალის რ-ნი) 3:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შადრევანი“	35	23	6	6	63-30	52
„მერცხალი“	35	21	10	4	54-24	52
„კოლხეთი“	34	22	7	5	69-27	51
„სამეგრ.“	35	18	11	6	56-27	47
„სულორი“	34	16	10	8	46-37	42
„ამირანი“	35	16	9	10	46-39	41
„სქური“	33	16	6	11	65-44	38
„იმ“-დინ.“-2	30	14	7	9	57-43	35
„სპარტაკი“	35	12	11	12	59-58	35
„მეტალურ.“	35	15	4	16	51-48	34
ფიზ. ინსტ.	31	12	9	10	46-41	33
„ეგრისი“	34	12	9	13	50-53	33
„დინამო“ გ.	34	11	11	12	39-48	33
„დინამო“ ზ.	34	12	8	14	48-45	32
„ქართლი“	33	12	6	15	41-44	30
„მადნეული“	34	10	10	14	52-42	30
„სალხინო“	35	9	12	14	45-63	30
„ივერია“	35	10	9	16	41-47	29
„იმერეთი“	34	11	6	17	48-71	28
„საპოვნელა“	35	10	8	17	42-59	28
„დურუჯი“	35	8	11	16	32-45	27
„კახეთი“	35	10	6	19	53-69	26
„არმაზი“	33	8	10	15	37-53	26
ახ. საფ. სკ.	35	3	0	32	25-108	6

ფეხბურთი

I ლიგა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 38-ე ტურის მატჩები.

„დინამო“ (ბათუმი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0 (0:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდაძე, ქობულაშვილი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე (მაჭუტაძე), მაიხურაძე.

„კოლოსი“: ანდრეევი, ლუკიანჩუკი, კოშკინი (გუსაკი), გიმრო, რუდაკოვი, დილაი, იაშჩენკო, საფრონენკო (ვერნიდუბი), გორიაჩევი, ფედორენკო, ხაპასიანი.

მსაჯი ა. გორინსი (ბირშტონასი).

გაფრთხილეს დილაი, ანდრეევი, გოგიტიძე.

გათამაშების ამ ეტაპზე ბათუმის „დინამოს“ კვლავ მთელი ძალით მართებს ბრძოლა, რათა გაიშგროს პოზიციები ლიგაში, საამისოდ გუნდმა ამ მატჩში ყველაფერი გააკეთა და გაიმარჯვა კიდეც, თუმცა ვერ გამოიყენა თავისი დიდი უპირატესობა და დაკარგა ბურთის გატანის რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობა.

მასპინძლები იძულებული იყვნენ ერთადერთ გოლს დასჯერებოდნენ და ისიც 11-მეტრიანის წყალობით. 65-ე წუთზე ნიკოპოლელმა ფეხბურთელებმა უხეშად ითამაშეს ზედანიას წინააღმდეგ, ეს მოხდა მათ საჯარიმო მოედანზე, მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ბარათაშვილმა — 1:0.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0 (0:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„ტორპედო“: მიქაძე, ხოხაშვილი, თევზაძე, ბზიკაძე, პაპავა, ა. კაპანაძე (შენგელია), ბიგვავა (გოგელიძე), ტ. კაპანაძე (უგრელიძე), გოგრიჭიანი, გიგატაძე, ტყავაძე.

„მეტალურგი“: მოისეევი, სტარიკოვი, ვიტიუტცევი, პალამარი, ნეფედოვი, მიხაილოვი, ალისტაროვი, რურა, ბრაჭიკოვი, მოროზოვი (ბელოუსი), ზაეცი, სემერენკო.

მსაჯი მ. ბუტენკო (მოსკოვი).

ქუთაისის ტორპედოელებს საკმაო ხანია ისეთი მდგომარეობა შეექმნათ, რომ ლიგაში დასარჩენად მხოლოდ გამარჯვებები სჭირდებათ, ეს გამარჯვება კი მხოლოდ 6 ოქტომბრის მატჩში მოიპოვეს და ისიც უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შედეგად. ტორპედოელებმა გაიმარჯვეს მინიმალური ანგარიშით, ეს ერთადერთი გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა ტყავაძემ.

ქუთაისის გუნდს წინ მეტად ძნელი თამაშები აქვს, ტორპედოელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ და ძალები არ დაიშურონ ქულათა იმ მარაგის შესავსებად, რომელიც მათ ლიგაში დარჩენის საშუალებას მისცემს.

თ. ხარაბაძე.
(ტელეფონით „ლელოს“ კორ.).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)— „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:0, „კუზბასი“ (კემერიოვო) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 3:2, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 4:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (სტავროპოლი) 4:2.

ბათუმის დინამოელები მომდევნო ტურში დონის როსტოვში შეხვდებიან „როსტსელმაშს“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ სტავროპოლში ითამაშებს „დინამოსთან“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	36	22	11	3	62-25	55
„ლოკომ.“	37	21	12	4	53-22	54
„დაუგავა“	36	17	12	7	57-31	46
„ფახთაქ.“	37	16	10	11	44-37	42
„პამირი“	37	17	7	13	49-40	41
„კოლოსი“	37	15	8	14	54-55	38
ასკ „კარპ.“	36	14	10	12	48-36	38
„კუზბასი“	37	13	14	10	37-30	38
„მეტალ.“	37	13	10	14	50-48	36
„როსტს.“	36	12	12	12	44-48	36
„ზარია“	36	11	14	11	33-46	34
„კოტაიკი“	36	13	6	17	46-51	32
„გეოლოგი“	36	12	8	16	36-46	32
„შინიკი“	36	12	8	16	23-37	32
„სპარტაკი“	36	11	10	15	33-37	32
„დინ.“ სტ.	36	10	12	14	40-50	32
„როტორი“	36	12	7	17	42-45	31
„დინამო“ ბ.	36	11	9	16	32-37	31
ასკ რ.	36	12	6	18	33-51	30
„ფაკელი“	36	9	12	15	28-33	30
„კრ. სოვ.“	36	8	11	17	30-47	27
„ტორპ.“ ქ.	36	8	11	17	23-45	27

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ლიდერები და აუტსაიდერები

დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. ახლა 4 დეკემბრამდე გუნდებს დასვენება ექნებათ, ვინაიდან კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მესამე ტური ოქტომბრიდან იანვრისათვის გადაიტანეს.

კიევი. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ადგილობრივი არმიელებისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა იყო. ორი დღით ადრე, გახსოვთ ალბათ, თბილისელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და ფაქტიურად უნუგეშო შეხვედრა გადაარჩინეს. არმიელები ამჯერად უფრო მობილზებულნი იყვნენ, უფრო ყურადღებით თამაშობდნენ დაცვამიც და თავდასხმაშიც. მაგრამ ამის მიუხედავად სტუმრებმა პირველი ტაიმი მაინც მოიგეს — 55:47 (შეხვედრის მსვლელობაში თბილისელთა უპირატესობა უფრო მნიშვნელოვანიც იყო).

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. დიდხანს უპირატესობა ცვალებადი იყო, მაგრამ თბილისელთა რიგებში, ბოლოს და ბოლოს, დაღლილობამ იჩინა თავი და ეს გასაკვირი არც უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ წინა სამ გამარჯვებას „დინამომ“ დიდი ენერგია შეალია. არა და, ყველა შეხვედრის ერთ დონეზე, ერთნაირი ფიზიკური კონდიციით ჩატარება, ცხადია, ძნელი საქმეა.

კიევის არმიელებმა ამ შეხვედრაში რევანში აიღეს — 103:95.

დონეცკის „შახტიორი“ ახე უიმედოდ თითქოს არ უნდა ატარებდეს მატჩებს. აი, „სტროიტელანაც“ განმეორებით შეხვედრაში პირველი ტაიმი „შახტიორის“ კალათბურთელებმა მოიგეს —, 44:35, მაგრამ შესვენების შემდეგ ერთობ სუსტად ითამაშეს და საბოლოოდ დათმეს შეხვედრა — 73:78.

ალბათ სწორი იყო დონეცკელთა მწვრთნელი ალექსანდრე ვლასოვი, რომელმაც თბილისის ტურის დამთავრების შემდეგ განაცხადა: ბაბეჩკოს გარეშე ჩვენს გუნდს გაუჭირდებაო. მართლაც, თანამედროვე კალათბურთში გამოკვეთილი ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე წარმატების მიღწევა უჩვეულოდ ძნელია. მით უფრო, როცა შტოქეს ამ ადგილზე ბელოსტენი ჰყავს.

ერთი სიტყვით, „შახტიორმა“ 55-ე ჩემპიონატის ორი ტური ერთობ უღიმღამოდ ჩაატარა და ყველა შეხვედრა წააგო. დონეცკელი კალათბურთელები ჯერჯერობით ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფებიან.

რიგა. ცსკა-მ ამ ტურშიც ყველა შეხვედრა მოიგო და სავსებით დამსახურებულად ინარჩუნებს ლიდერობას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვეფ-მა განმეორებით მატჩში მას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა, რომელიც არმიელებმა მხოლოდ 5 ქულის სხვაობით მოიგეს — 53:48. საბოლოო გამარჯვება ამ შეხვედრაში, როგორც ვთქვით, ცსკა-ს დარჩა — 114:101.

მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა მოსკოვის „დინამო“ რიგაში ორჯერ დაამარცხეს. მეორე შეხვედრის ანგარიში იყო 70:60 (37:29).

ვილნიუსი. კაუნასის „ჟალგირისისა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ განმეორებითი შეხვედრა პრინციპულ ხასიათს ატარებდა. პირველ მატჩში ლენინგრადელთა დამარცხება 23 ქულით ბევრმა შემთხვევითობას მიაწერა. ახლა „სპარტაკს“ უნდა დაემტკიცებინა, რომ შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებულსა (ზედველობაში გვყავს „ჟალგირისი“) და მესამე პრიზიორს („სპარტაკი“) შორის ოსტატობის მხრივ არც ისეთი დიდი განსხვავებაა. მაგრამ ნევისპირელებმა სწორედ ეს ვერ შეძლეს და შეხვედრა კიდევ უფრო დიდი სხვაობით (26 ქულით) წააგეს — 72:98 (28:47).

როგორც ჩანს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კალათბურთში ძალთა სერიოზული გადანაწილება მოხდა.

უმარტივესი ლიგის დებიუტანტმა ტალინის „კალევმა“ ენთუზიაზმიც, რითაც ეთამაშა ყველა შეხვედრაში, მეორე ტურის ოთხივე მატჩი ესტონელებმა წააგეს. ბოლო შეხვედრაში მას ადგილობრივმა „სტატიბამ“ აჯობა — 81:73 (38:41).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	7	7	0	696-564	14
„ჟალგ.“ (კაუნ.)	7	7	0	650-555	14
„დინ.“ (თბ.)	7	5	2	634-636	12
ასკ (კიევი)	7	5	2	649-602	12
„სპარტ.“ (ლენ.)	7	3	4	622-621	10
რტი (მინსკი)	7	3	4	602-609	10
„სტროიტ.“ (კ.)	7	3	4	620-659	10
ვეფ (რიგა)	7	3	4	662-725	10
„დინამო“ (მოსკ.)	7	2	5	586-588	9
„კალევი“ (ტალ.)	7	2	5	590-610	9
„სტატ.“ (ვილ.)	7	2	5	579-622	9
„შახტ.“ (დონ.)	7	0	7	500-599	7

ფუალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი

„ვარსკვლავები“-აუზში

ის-ის იყო ფინალური შეხვედრის დამთავრების მაუწყებელი სასტვენის ხმა გაისმა, რომ გამარჯვებულმა უკრაინელმა ქალებმა ყიჟინა დაასცეს. როცა წყლიდან ამოვიდნენ, ქუდები მოიხადეს და კულულები მხრებზე ჩამოეშალათ...

სარბიელზე უკრაინელებიც და წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირის სხვა მონაწილეებიც მართლაც საოცრად იცვლებოდნენ. ბურთისთვის ისე გაფთრებით იბრძოდნენ, როგორც მამაკაცებს სჩვევიათ. ახლა სათადარიგო წყალბურთელთა წივილ-კივილი და შეძახილები მოგესმინათ? მიაღრჩეო — ასე უკიოდნენ თანაგუნდელებს და ისინიც თავგამოდებით ცდილობდნენ მათი „რჩევის“ შესრულებას.

დიახ, ასე თამაშობდნენ ქალები წყალბურთს, მაგრამ აუზიდან ამოსულნი საოცრად გარდასახულნი გვიღიმოდნენ. ერთი სიტყვით, გვხიბლავდნენ. უკრაინელთა სათადარიგო მეკარე ნოვიკოვა ფოტორეპორტიორების წინ კინოვარსკვლავივით დგებოდა და იღიმებოდა. რატომაც არა, ყველაზე მოხიბლავი წყალბურთელისთვის დაწესებული პრიზი ხომ სწორედ მან მოიპოვა.

უკრაინელებს სხვა „ვარსკვლავიც“ ჰყავდათ — კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ზემცოვა — ცნობილი წყალბურთელის, კიევის „დინამოს“ ერთ-ერთი ყოფილი უძლიერესი მოთამაშის, საკავშირო ნაკრების წევრის იოსიფ ზემცოვის შვილი. ტურნირის შემდეგ ზემცოვას გავესაუბრეთ.

● **წყალბურთი მამამ შეგაყვარათ?**

— დიახ, რომ გაიგო, კიევში წყალბურთელ ქალთა გუნდი ყალიბდებაო, სიხარულისაგან ცას ეწია. სულ ჩამჩიჩინებდა წყალბურთში ივარჯიშეო, მაგრამ მე ცივ უარზე ვიდექი.

● **რატომ?**

— ვფიქრობდი, წყალბურთი რა ქალის საქმეაოთქი. სულაც არ მინდოდა, რომ კუნთები დამეყობოდა და მხარბეჭი გამზრდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამიყოლია. ორი წელია ვთამაშობ.

● **ეჭვი ხომ არ გაგიმართლდათ, გავიგე, ამ ზამთარს გამართულ საკავშირო ტურნირზე „მის წყალბურთელი“ გამხდარხართ. ახლა გული ხომ არ გწყდებათ, რომ ეს „ტიტული“ თქვენს თანაგუნდელს გადაულოცეთ?**

— ზულაც არა, მიხარია, რომ ყველაზე მომხიბლავი წყალბურთელი კვლავ ჩვენს გუნდშია. ანა ნოვიკოვას გამარჯვება პირველმა მე მივულოცე.

● **წყალბურთში მოსვლამდე ალბათ ცურვაში ოსტატდებოდით, არა?**

— დიახ! უფრო სწორედ ჯერ ცურვაში, მერე სინქრონულ ცურვაში. ერთში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შევასრულე, მეორეში — I თანრიგისა. მაგრამ სჯობს მომავალმა წყალბურთელმა იმთავითვე წყალბურთში დაიწყოს ვარჯიში. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალები დიდი ხანი არაა, რაც წყალბურთს თამაშობენ, მწვრთნელები იძულებულნი არიან ისინი ცურვის სექციებიდან მოიზიდონ.

● **ამ ტურნირის მონაწილე ოთხივე ნაკრების მწვრთნელი მამაკაცია. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ზურაბ ჩაჩავამ თქვა, ქალთა გუნდების მწვრთნელი უმჯობესია ქალი იყოსო. თქვენ როგორ გგონიათ?**

— ჩაჩავა წყალბურთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ამიტომ მის აზრს გავიზიარებ, თუმცა, ჩემი აზრით, კარგი იქნება გუნდს ქალიც და კაციც ჰყავდეს მწვრთნელად.

უკრაინელთა გუნდმა თბილისში გამართულ ტურნირზე მთავარი ჯილდო, საქართველოს პროფსაბჭოს პრიზი დაიმსახურა. მათი გუნდის ღირსებას ზემცოვასა და ნოვიკოვასთან ერთად იცავდნენ: შურაში, ბრუკი, შევცოვა, კლადნიცკაია, ვერტეგელი, ლოზინსკაია, კოლოტაი, გრაჩოვა, ფურსოვა, კოვალი და მოლვინა.

საქართველოს ნაკრებმა წრიული სისტემით გამართულ მატჩებში სამივე შეხვედრა მოიგო, მათ შორის უკრაინელებთანაც — 8:5. გადამწყვეტ ფინალურ შეხვედრაში, ბოლო პერიოდში, საქმეს ისეთი პირი უჭირდა, გამარჯვება სწორედ ჩვენს წყალბურთელებს უნდა დარჩენოდათ. ისინი ხომ შეხვედრას სამი ბურთის სხვაობით იგებდნენ, მაგრამ... ფინალურ შეხვედრაში, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრები უკრაინელებთან ანგარიშით 9:10 დამარცხდა.

ნატალია ზემცოვა.

ჩვენმა ნაკრებმა ნუგეშად ერთგვარი სიმბოლური ჯილდო მიიღო — თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის პრიზი — განკუთვნილი ყველაზე ახალგაზრდული გუნდისთვის.

დიახ, ჩვენი გუნდის წევრთა საშუალო ასაკი 17 წელია და, როგორც იტყვიან, მათ ჯერ ყველაფერი წინა აქვთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ასპარეზობის მონაწილე გუნდებთან შედარებით ჩვენთან ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა წყალბურთელ ქალთა გუნდი, თუ სხვები უკვე რესპუბლიკის პირველობებს ატარებენ, ჩვენები ამას მოკლებული არიან. ამიტომ მათ მიერ ასეთი რანგის შეჯიბრებაში დაკავებული მეორე ადგილი დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენმა გოგონებმა დიდი ალმაცლობით იასპარეზეს. ყველაზე ახალგაზრდული გუნდისთვის დაწესებული პრიზის გარდა, მათ მოიპოვეს საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული ჯილდოც (ვიკა ივანოვამ) და საუკეთესო თავდამსხმელისაც (ლელა ბგელაძემ). მათ გარდა ჩვენს ნაკრებში იყვნენ: ქეთინო გვანცელაძე, ლენა გოჩალეიშვილი, ტატიანა ჩერნიშოვა, ალიონა მარგიევა, მაკა ხიზანიშვილი, ნატალია აზატიანი, რუსუდან გვანცელაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ნონა ეკიზაშვილი, მედეა ჯაბადარი და სუსანა მელოიანი. მათ მალზაზ კაპანაძე და გიორგი დოლიძე ავარჯიშებენ, ხოლო ზურაბ ჩაჩავა გუნდის კონსულტანტია.

ალიონა მარგიევა — თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი — წარსულში ცნობილი წყალბურთელის, თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის ყოფილი წევრის ბორის მარგიევის შვილია. ალიონა ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც წყალბურთში ვარჯიშობს. მანამდე იგი ცურვაში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი იყო, მაგრამ მერე წყალბურთი ამჯობინა. ზემცოვასაგან განსხვავებით, მისთვის მამას არ დაუძალებია წყალბურთი ითამაშეო.

შეჯიბრების დღეებში ალიონას 18 წელი შეუსრულდა. ამ დღეს მეგობრებმა თაიგულები მიართვეს, მსაჯებმა კი მარგიევას დაბადების დღე „ორიგინალურად“ აღნიშნეს — უკრაინელებთან პირველი შეხვედრის მიწურულს სარბიელიდან მესამედ და თამაშის ბოლომდე გაეძევეს, თუმცა მარგიევას, როგორც იტყვიან, თავისი საქმე უკვე მოთავებული ჰქონდა — მეტოქის კარში 3 ბურთი გაიტანა.

ამ ტურნირში ყველაზე მეტჯერ მეტოქის კარი დალაშქრა რსფსრ-ს წარმომადგენელმა ნატალია შუტოვამ, რომელმაც 17 ბურთი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი დაიმსახურა. საუკეთესო მცველად მოსკოველი ირინა სელივანოვა აღიარეს.

ავთანდილ გურასაშვილი.

სუპერთასი — 2 მატჩში

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის წარმომადგენელმა ანდრე ვიელიმ ბერნში ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროპის სუპერთასი — ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულთა შორის ამერიდან გათამაშდება 2 მატჩში. მან დაუმატა, რომ ამჟამად ზუსტდება პორტუგალიის „პორტოსა“ და ჰოლანდიის „აიაქსის“ პირველი შეხვედრის თარიღი (იგი ამსტერდამში შედგება), საპასუხო მატჩი კი პორტოში გაიმართება 15 იანვარს.

აქამდე სუპერთასის შეხვედრა ნეიტრალურ სტადიონზე ეწყობოდა მონაკოში.

პირველი პრიზი — ტიმანს

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა ორწრიანი საერთაშორისო ტურნირი. რვა დიდოსტატის პაექრობაში ყველას აჯობა ჰოლანდიელმა იან ტიმანმა. მან 8,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ იუგოსლავიელი პრედრაგ ნიკოლიჩი და დასავლეთგერმანელი რობერტ ჰიუბნერი.

ციხეერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 10 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.50 (2);** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: გდრ—სსრ კავშირი (გადაცემა გდრ-იდან) — **23.00 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 10 ოქტომბერი. სპორტული გადაცემა — **19.25;** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: გდრ — სსრ კავშირი — **23.00.**

„სპორტპროგნოზი“

39-ე ტირაჟის შედეგები (26-27 სექტემბერი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 39-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 26-27 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 6.255.401 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (13) მოგებამ შეადგინა 7.217 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (385) — 487 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (4.893) — 134 მანეთი.

39-ე ტირაჟის მოგებათა გაცემა იწარმოებს 1987 წლის 22 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე.

მხოლოდ ერთი ქულა

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ბათუმის საცურაო აუზში ამას წინათ გაიმართა ჩვენი ქვეყნის დინამოელ წყალბურთელთა პირველობა, რომელშიც ალმაათელი, მოსკოველი, ლვოველი, კიეველი და თბილისელი თანაკლუბელები მონაწილეობდნენ. მათთან ერთად კონკურსგარეშე გამოდიოდა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდიც.

სამწუხაროდ, სუსტად ასპარეზობდა თბილისის „დინამო“ — დამარცხდა ალმაათელ (5:8), მოსკოველ (7:11), კიეველ (5:6) თანაკლუბელებთან და მოსკოველ სტუდენტებთანაც (7:8). თბილისელებმა მხოლოდ ლვოველებთან შეძლეს ერთი ქულის აღება (6:6).

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ირაკლი ჩხიკვაძემ ქართველი წყალბურთელების წარუმატებლობა მათი საცურაო პრაქტიკის უკმარისობით და გუნდში ძირითადი მეკარის, მიხეილ გიორგაძის, აგრეთვე სხვა ძირითადი მოთამაშეების დეფი გვახარიასა და კახა კანდელაკის არყოფნით ახსნა, მათ ნაცვლად მწვრთნელებმა სარბიელზე ახალბედები ნოდარ ჩოლარია, გიორგი გობეჯიშვილი და მეკარე მამუკა კერესელიძე გამოიყვანეს. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამ უკანასკნელმა.

დინამოელთა წარუმატებლობამით უფრო საგანგაშოა, რომ კარსაა მომდგარი საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც 16 ოქტომბერს იწყება.

მოსკოვისა და კიევის დინამოელებმა ერთმანეთთან შეხვედრამდე ყველა თამაში მოიგეს, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში უფრო მობილურნი იყვნენ მოსკოველები, რომლებმაც დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვეს — 11:4 და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

— ტურნირი უფრო საინტერესოდ ჩატარდებოდა, მის ორგანიზატორებს რეკლამაზეც რომ ეზრუნათ. ბათუმელი სპორტის მოყვარულები, ქალაქის სტუმრები ინფორმირებულნი არ ყოფილან იმის შესახებ, რომ აქ ასპარეზობა ტარდებოდა. ცხადია, ერთმა თუ ორმა, ისიც აუზის ტერიტორიაზე გამოკრულმა აფიშამ მიზანს ვერ მიაღწია. გვაქვს კიდევ ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა: რამდენჯერ ითქვა, რომ დროა ბათუმის საუცხოო საცურაო აუზს ელექტროტაბლო ჰქონდეს, — გვითხრა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ზურაბ ჩაჩავამ.

ლევან ქავჭარაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.
ბათუმი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

„ედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 62435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08031

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.